ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-4/62.1065-17

"14" 08 2017 წ.

დადგენილება №002725
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.08.2017წ. ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 2 აგვისტოს №002725 მითითება და 2017 წლის 10 აგვისტოს №002725 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №200002120, დირ. მამუკა თავხელიძე, პირადი №01020006864, მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, საკ. კოდი №01.72.14.013.681-ში შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს მიერ განხორციელდა არსებულ შენობა-ნაგებობაზე მიშენება-დაშენება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ, 2017 წლის 2 აგვისტოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შედგენილი №002725 მითითებით სამართალდამრღვევს განესაზღვრა თხუთმეტი კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟისათვის უსაფრთხოების წესების დაცვით.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ 2017 წლის 10 აგვისტოს შედგა №002725 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; სამსახურის აზომვითი ნახაზი 27.07.2017წ; მხარის №19/01172191343-17 07.08.2017წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება სამსახურის №002725 02.08.2017წ. მითითებით დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას და მოთხოვნილი გადაწყვეტილების მიღება მხარის დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით, კერძოდ, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, საკ. კოდი №01.72.14.013.681-ში შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს მიერ განხორციელდა არსებულ შენობა-

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნაგებობაზე მიშენება-დაშენება შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი" დაჯარიმდეს 8000 (რვაათასი) ლარით, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, საკ. კოდი №01.72.14.013.681-ში არსებულ შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ მიშენება-დაშენების განხორციელებისათვის;

2. შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, საკ. კოდი №01.72.14.013.681-ში არსებულ შენობა-ნაგებობაზე უნებართვოდ განხორციელებული მიშენება-დაშენების დემონტაჟი;

3. შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს დაევალოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4 საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე **მ. ჯაყელი**

საგადახდო დავალება № 11 16 აგვისტო 2017

გადამხდელი შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

საიდენტ. ნომერი 200002120 გადამხდელის ანგარიში GE86HB0000000007003602

გადამხდელის ბანკი ბანკის კოდი HABGGE22

სს ხალიკ ბანკი საქართველო,

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი 200002120

მიმღები სახელმწიფო ხაზინა

საიდენტ.ნომერი მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,

გადახდის ჯარიმის გადახდა აღმაშენებლის ხეივანი მე 12 კმ-ზე არსებულ შენობა ნაგებობაზე
დანიშნულება: უნებართვოდ მიშენება დაშენების განხორციელებისთვის

დამატებითი ინფორმაცია: საკ.კოდი N01.72.14.013.681,დადგენილება N002725

კლიენტის ხელმოწერები:

თანხა
8000-00
GEL
თანხა სიტყვიერად
რვაათასი ლარი და 00
თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შემოსვლის თარიღი 16 აგვისტო 2017

გატარების თარიღი 17 -08- 2017

ხელმოწერა

ს.ს. ხალიკ ბანკი საქართველო
J.S.C. HALYK BANK GEORGIA
HEAD OFFICE BRANCH

ნაწილი I. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

საჯარიმო ქვითარი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000163

1. შედგენის თარიღი 16/08/2017 (რიცხვი, თვე, წელი) 2. შედგენის ადგილი

3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი:

4. დამრღვევის მონაცემები:

ფიზიკური პირი (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი);

იურიდიული პირი (დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი)

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი:

6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172 მუხლის 1 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით

7. მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები

8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი და სხვ.

(ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტისა და სხვ. დოკუმენტის არსებობისას მითითება მახასიათებლებზე, ფურცლების რაოდენობა)

9. მიმღები მოლარე 300773260

(ხელმოწერა და თარიღი) საბიუჯეტო მემომავლის სახაზინო კოდი

მოწმის ხელმოწერა ოქმის შემდგენლის ხელმოწერა

სამართალდამრღვევი

(ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა)

16.08.17

ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა

№ 000163

(ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

1. გადამხდელის სახელი და გვარი

2. გადამხდელის მისამართი

3. ჯარიმის ოდენობა

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

6. 300773260 საბიუჯეტო მემომავლის სახაზინო კოდი

7. მიმღები მოლარე (ხელმოწერა)

8. შემომტანი (ხელმოწერა)

თარიღი (რიცხვი, თვე და წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ.

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დამკვეთი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7

დამამზადებელი: შპს „ქეჩერა“
სფს-ს რეგისტრაციის N 02–4328

სს „ხალიკ ბანკი საქართველო

საგადახდო დავალება № 11 16 აგვისტო 2017

გადამხდელი შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

საიდენტ. ნომერი 200002120 გადამხდელის ანგარიში GE86HB0000000007003602

გადამხდელის ბანკი ბანკის კოდი HABGGE22

სს ხალიკ ბანკი საქართველო,

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი 200002120

მიმღები სახელმწიფო ხაზინა

საიდენტ.ნომერი მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი 300773260

მიმღების ბანკი/ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,

გადახდის დანიშნულება: ჯარიმის გადახდა მწვანე ნარგავების მოვლა აღდგენის წესის დარღვევისთვის

დამატებითი ინფორმაცია: ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმი N 000163

კლიენტის ხელმოწერები: გ. ა.

თანხა

500-00

GEL

თანხა სიტყვიერად

ხუთასი ლარი და 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

შემოსვლის თარიღი 16 აგვისტო 2017

გატარების თარიღი 17-08-2017

ხელმოწერა

შტამპი

სს „ხალიკ ბანკი საქართველო" ვაკე-საბურთალოს ფილიალი JSC "HALYK BANK GEORGIA" HABGGE22

სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
საქართველო, თბილისი, 0160,
შარტავას ქ.40.
ტელ: +995 /32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

ხალიკ ბანკი საქართველო
HALYK BANK
HALYK BANK GEORGIA

JSC "Halyk Bank Georgia"
Georgia, Tbilisi, 0160,
40 Shartava str.
Tel: +995 / 32 / 224 07 07
info@hbg.ge, www.halykbank.ge

16.08.2017 № 09/155

№ _____ _____

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დირექტორს

ბ-ნ მამუკა თავხელიძეს

თქვენი 16.08.2017 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სს „ხალიკ ბანკი საქართველო" (ს/კ 205236537) აცხადებს თანხმობას თქვენს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ 01.72.14.013.681); მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები და ამ მიზნით ყველა კომპეტენტური კერძო ან/და სახელმწიფო (საჯარო) სამსახურებიდან, მათ შორის ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების შესაბამისი უწყებებიდან მოიპოვოს საჭირო ნებართვები და თანხმობები, იმ პირობით თუ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე (იპოთეკის საგანზე) წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოშობილ უძრავ ქონებაზეც სრულად გავრცელდება ს.ს. ხალიკ ბანკი საქართველოს სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება.

პატივისცემით,

კონსტანტინე [illegible]

სს "ხალიკ ბანკი საქართველო" * JSC "HALYK BANK GEORGIA" * 205236537 * АО "ХАЛЫК БАНК ГРУЗИЯ"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

გრიგოლ რობაქიძის
სახელობის
უნივერსიტეტი

თანხმობა

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ს/კ 200002120) აცხდებს თანხმობას მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, იპოთეკის საგანზე (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, საკადასტრო კოდი 01.72.14.013.681) წარმოებულ სამშენებლო (დაშენება-მიშენების) სამუშაოს შედეგად წარმოშობილ უძრავ ქონებაზეც გავრცელდეს „ს.ს. ხალიკ ბანკის საქართველოს" სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის დირექტორი

მამუკა თავხელიძე

№ 01-19/465

16.08.2017

თბილისი, 0160
დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-13 კილომეტრი
ტელ.: (995 32) 2385 695; 2384 406
ფაქსი: (995 32) 2 252 981
info@gruni.edu.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01172302506**

თარიღი: **18.08.2017**

ადრესატი:
გულადი ჯავჯანიძე
მისამართი: ქ. ტბილისი, სტანისლავსკის ქ. N5

ბატონო გულადი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში 2017 წლის 07 აგვისტოს შემოსული თქვენი N19/01172191457-17 განცხადების პასუხად რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი N01.72.14.013.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოჭრის ფაქტის შესწავლას გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ საკითხი ადგილზე იქნა შესწავლილი. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე თვითნებურად გადაბელილი იყო 120 სმ დიამეტრის ვერხვი რომლის სასიცოცხლო ფუნქცია დარღვეული არ არის, ასევე შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მოჭრილი იყო ერთი ძირი ზეხმელი კვიპაროსი დიამეტრით 37 სმ, რაც შეეხება ტერიტორიაზე არსებულ ხილ-კენკროვანი ხე-მცენარეების მოჭრას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილების თანახმად ნებართვას არ საჭიროებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს ,,გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" მიმართ მიმდინარე წლის 16 აგვისტოს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N000163.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი — მამუკა ჯაყელი

N 01.72.14.013.681

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017845147 - 13/09/2017 10:03:38

მომზადების თარიღი
10/10/2017 16:26:38

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
01	72	14	013/681

მისამართი: ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 4381.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.72.14.013.677; 01.72.14.013.680;
შენობა-ნაგებობის რაოდენობა: N1 (I სართული-715 კვ.მ.,II სართული-715 კვ.მ.,სარდაფი-720 კვ.მ.)
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 2150.00

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017100022 , თარიღი 10/02/2017 17:28:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/02/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N141040512 , დამოწმების თარიღი:23/09/2014 ,ნოტარიუსი ი. შარვაძე
- გადაწყვეტილება N416820 , დამოწმების თარიღი:06/10/2017 ,სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N141040512 , დამოწმების თარიღი:23/09/2014 ,ნოტარიუსი ი. შარვაძე

მესაკუთრეები:
შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი", ID ნომერი:200002120

მესაკუთრე:
შპს "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"

ხელწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016847477 თარიღი 07/12/2016 16:23:34	იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო"205236537; მესაკუთრე: შპს "გრიფონლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"200002120; განცხადების საგანი: უძრავი ქონების დასახელება: 812.00 კვ.მ; იპოთეკის ხელშეკრულება N000000.361-ა, დამოწმების თარიღი07/12/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სანოტარო რეესტრის ერთიანული სააგენტო
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/12/2016	
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016847494 თარიღი 07/12/2016 16:24:57	იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "ხალიკ ბანკი საქართველო"205236537; მესაკუთრე: შპს "გრიფონლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი"200002120; განცხადების საგანი: მიწის დაზუსტებული ფართობი: 3569 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა; იპოთეკის ხელშეკრულება N000000.361-ბ, დამოწმების თარიღი07/12/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სანოტარო რეესტრის ერთიანული სააგენტო ,
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/12/2016	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო დეკლარაციის შევსების ვალდებულება არ არსებობს. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ფიზიკური პირი ამავე მუხლში მითითებული ქონების ნაწილს ან მთლიანად ასეთივე ქონების ნაწილს ან მთლიანად ასეთივე ქონების ნაწილს ან მთლიანად ასეთივე

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.72.14.013.681**

განცხადების ნომერი: **882017845147**

მომზადების თარიღი: **10/10/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **4381 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაგებობა | 05/25 შენობა/ნაგებობა | წყლის ფონდი

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | ხაზობრივი ნაგებობა | ვალდებულება

Embassy of the United States of America

November 14, 2017
Tbilisi, Georgia

Mamuka Tavkhelidze
Rector
Grigol Robakidze University Ltd.
13th km, David Agmashenebeli Alley
0160 Tbilisi
Georgia

Dear Mr. Tavkhelidze:

We have received and evaluated your project submission dated November 3, 2017 asking for Embassy approval to conduct reconstruction works for the existing building on the David Agmashenebeli Alley.

The Embassy has no objection to the reconstruction of the existing building according to the plans that you submitted to us at cadastral code - 01.72.14.013.681.

If you have any other substantive changes to the design of the building, please inform us of them in advance.

Thank you,

Adam Lamoreaux
Management Counselor
US Embassy Tbilisi

თარგმანი ინგლისური ენიდან ქართულად

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

2017 წლის 14 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

მამუკა თავხელიძე
რექტორი
შ.პ.ს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“
საქართველო, 0160 თბილისი,
დავით აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ.

ბატონო თავხელიძე,

მივიღეთ და შევაფასეთ 2017 წლის 03 ნოემბერს წარმოდგენილი თქვენი პროექტი, რითაც ითხოვდით საელჩოს მიერ დავით აღმაშენებლის ხეივანზე არსებული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დამტკიცებას.

საელჩო წინააღმდეგი არაა, მოხდეს არსებული შენობის რეკონსტრუქცია გეგმის მიხედვით, რომელიც წარმოგვიდგინეთ საკადასტრო კოდით: 01.72.14.013.681.

გთხოვთ, წინასწარ გვაცნობოთ შენობის პროექტში სხვა არსებითი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გმადლობთ,
ადამ ლამორეაუქს / ხელმოწერილია
მმართველი კონსული
აშშ საელჩო, თბილისი
მრგვალი ბეჭედი / ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

თარგმანი ინგლისური ენიდან ქართულად სწორია
მთარგმნელი: *თ. სესაძე*

სანოტარო აქტი

ორიათასჩვიდმეტი წლის თექვსმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2, ვამოწმებ მთარგმნელის თინათინ სესაძის (დაბადებული 19.03.1977წ. მცხ; ქ. თბილისი, მუხიანის III მ/რ კორპ. 22. ბინა 11, პირადი №01003002043) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელმა წარმოადგინა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი აა 0046385, გაცემული 1999 წელს ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. დასავლეთ ენათა და კულტურათა სახ. ინსტიტუტის მიერ, სარეგისტრაციო №273). მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. შემდეგ მან თარგმანზე ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია 4.36 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 2.00 ლარი, დღგ 0.36 ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

Notary Act

On sixteenth day of November of two thousand and seventeen, I, notary Ekaterine Jeladze at my notary office located at 49-51-51a Ak. Tsereteli Ave., floor 2, Tbilisi, confirm the authenticity of signature of translator Tinatin Sesadze (born on 19.03.1977, residing in Apt. 11, Block 22, 3 M/R, Mukhiani, Tbilisi, Personal #01003002043). The Translator submitted the document certifying the English language qualification (Diploma AA 0046385 issued in 1999 by Tbilisi Ilia Chavchavadze State Institute of Western Languages and Culture, registration #273). I, the notary, warned the translator on her responsibility of the accuracy of translation. The translator declared in my presence that she guaranteed the correctness of translation. Thereafter she signed the translation in my presence.

Paid 4.36 GEL, including 2.00 GEL for notary service fee, VAT 0.36 Gel and 2.00 GEL for registration in notary's electronic register (included VAT) according to Articles 31 and 39 of the Resolution № 507 (December 29, 2011) of the Government of Georgia "On Approval of the Amounts of Fee for Notary Services and Fee Due to the Notary Chamber of Georgia, the Procedure of Payment Thereof and the Terms of Service", also according to Article 169 of the Tax Code of Georgia.

ნოტარიუსი _____ ეკატერინე ჯელაძე
Notary Ekaterine Jeladze

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171341505
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.11.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ჯელაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2434380
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	01593970388117

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18